



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 208

2013 წლის 27 დეკემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების
ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16
მუხლის მე-2 პუნქტის “ქ” ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის 2014 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 113 813 (ასცამეტიათასრვაასცამეტი) ლარით.
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. #15).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს: ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტში განთავსებულ მთავარ ბიბლიოთეკას, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის საბავშვო ბიბლიოთეკას და დაბა სურამში განთავსებულ ბიბლიოთეკას, რომელიც ემსახურება როგორც ადგილობრივ ასევე საკურორტო სეზონის დროს ჩამოსულ დამსვენებლებს.

ბიბლიოთეკა არის კულტურულ საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაწესებულება რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს არამართო წიგნით არამედ პრესით და ინტერნეტით.

პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების საქმიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები

- მუნიციპალიტეტსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები);
- შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ასე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით;
- ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის ხელშეწყობა;
- საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციული ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა;
- არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისათვის;
- ელექტრონული მედიათეკის შექმნა;
- წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით;

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 113813 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიების ოდენობა
1	შრომის ანაზღაურება	83563
2	საქონელი და მომსახურება	30250
	სულ	113813

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რიცხვის ზრდა.

ბიბლიოთეკით მომსახურეობის გაუმჯობესება.

სერვისით მომსახურეობის გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი:

ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რაოდენობა;

ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებული პროექტებისა და მათში ჩართულ ადამიანთა რაოდენობა.